

სახელმწიფო აუდიტის სამსახური




„მ ა მ ტ კ ი ც ე ზ“

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების

ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის

უფროსი

გიორგი მამრიკიშვილი


15 10 2017 წელი

ეგზ. №1

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01 00), „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ (პროგრამის კოდი: 03 00) პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში № 50/36

2017 წელი

სარჩევი

მნიშვნელოვანი შედეგები.....	3
რეკომენდაციები.....	5
შესავალი.....	5
აუდიტის ობიექტის აღწერა.....	8
ძირითადი ტექსტი	10
1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (პროგრამის კოდი: 01.00).....	10
1.1 შრომის ანაზღაურება	10
1.2 საქონელი და მომსახურება.....	11
2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამის კოდი: 03.00).....	14
2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	15
2.2 დოკუმენტურად დაუდასტურებელი სამუშაოები	18
2.3 გამარტივებული წესით შესყიდული სამშენებლო სამუშაოები	19
2.4 მიწოდების ვადების ცვლილებები და საჯარიმო სანქციების გავრცელება.....	20
3. ახალციხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები	22
3.1 მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	22
3.2 შენობა-ნაგებობები	23
3.3 დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები.....	24
აუდიტის დასკვნა.....	25
შიდა აუდიტი	26
ორგანიზაციის ბალანსი	27
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	40
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	40

მნიშვნელოვანი შედეგები

2016 წელს, გამგებლის ბრძანებების შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებზე გაიცა დანამატი 44.6 ათასი ლარის ოდენობით, რაც არ არის დასაბუთებული. კერძოდ, სამართლებრივი აქტები არ შეიცავს ინფორმაციას ზეგანაკვეთური მუშაობის, საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის ან სხვა გარემოების შესახებ. 2016 წლის აგვისტოში მუნიციპალიტეტის თერთმეტმა საჯარო მოხელემ ერთდროულად მიიღო დანამატი და პრემია 9.9 ათასი ლარი. 2016 წლის დეკემბერში ოცდაერთმა მოხელემ მიიღო ნოემბრის დანამატი და დეკემბრის პრემია, 23.8 ათასი ლარის ოდენობით.

2015-2016 წლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ნაწილი არ შეიცავს დროში განსაზღვრულ რაიმე კონკრეტულ დავალებას, შესასრულებელი სამუშაოს ან გასაწევი მომსახურების სპეციფიკას და აქედან გამომდინარე, შრომით ურთიერთობებს ფაქტობრივად მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად აწესრიგებს. აღნიშნული წინააღმდეგობაშია შტატგარეშე მოსამსახურის დაქირავების პრინციპთან. მითითებული შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად, 2015-2016 წლებში სულ გაცემულია 49.1 ათასი ლარი.

ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შტატგარეშე მოსამსახურეებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები არ შეიცავს დაქირავებულის უფლებას ან/და დამქირავებლის ვალდებულებას საპრემიო ანაზღაურების შესახებ. მიუხედავად ამისა, 2015-2016 წლებში ახალციხის მუნიციპალიტეტმა, შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად, პრემიების სახით გასცა 33.7 ათასი ლარი.

2015 წლისა და 2016 წლის დეკემბერში, მუნიციპალიტეტმა შრომითი ხელშეკრულებები გააფორმა 3 დაქირავებულთან. კერძოდ, ხელშეკრულებები გაფორმდა 9-18 დეკემბრის შუალედში და დეკემბრის ბოლოს კუთვნილი ანაზღაურების გარდა, მათზე გაიცა პრემიები 1 თვის სახელშეკრულებო თანხის ოდენობით.

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებზე 2015-2016 წლებში ხარჯების ანაზღაურების სახით გაცემულია 153.0 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა ხარჯის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები. ამასთანავე, საკრებულოს 2015 წლის სამართლებრივი აქტი საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ, არ შეესაბამება მოქმედ საკანონმდებლო ნორმებს.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ 2015-2016 წლებში საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მიზნით ჩატარებული ტენდერებისათვის გამოვლინდა აფიდავიტის სავარაუდო დარღვევის შემთხვევები. პრეტენდენტები მეტი ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, დიდი ალბათობით, მოქმედებდნენ ურთიერთშეთანხმებით და არ აზუსტებდნენ ტექნიკურ დოკუმენტაციას, რაც ზრდიდა

შესყიდვის ღირებულებას. აღნიშნულის გამო, 3 ტენდერის შემთხვევაში ხელშეკრულებების ფასი სულ 147.4 ათასი ლარით გაიზარდა.

)/ახალციხის მუნიციპალიტეტმა, აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე, წარმოადგინა მიმწოდებლის მიერ გამოყენებული სამშენებლო მასალების სასაქონლო ზედნადებები, 2015-2016 წლებში შესრულებული ზოგიერთი საგზაო სამუშაოსათვის. ინფორმაციის შესწავლის შედეგად, 5-დან 2 შესყიდვაში გამოვლინდა სხვადასხვა რაოდენობრივი ხასიათის შეუსაბამობა. კერძოდ, მუნიციპალიტეტის მიერ 48 ათას ლარზე მეტი გადახდილია ისეთი სამუშაოებისათვის, რომელთა შესრულებაც სასაქონლო ზედნადებებით არ დასტურდება.

)/2015 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტმა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გააფორმა 22 ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც შეისყიდა 144.5 ათასი ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაო. მიმწოდებლებზე თანხის ანაზღაურების დროს, მუნიციპალიტეტი არ ითვალისწინებდა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს და არ ითხოვდა დოკუმენტაციას ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ.

)/2015 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეისყიდა 92 ცალი ნაგვის კონტეინერი. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა ორჯერ გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ვადის გადაწევის საფუძველი არ წარმოადგენდა ობიექტურ გარემოებას და გამოწვეული იყო სუბიექტური ფაქტორებით. მუნიციპალიტეტმა არ გამოიყენა საჯარიმო სანქცია 1.8 ათასი ლარის ოდენობით.

)/ახალციხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგება შეიცავს სხვადასხვა ხასიათის ცდომილებებს „შენობა-ნაგებობების“, „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“, „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლობრივ გატარებებში.

)/ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ, „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, არ მომხდარა კონტროლისა და აუდიტის სამსახურის მიერ გაცემულ ყველა რეკომენდაციაზე სათანადო რეაგირება და შესაბამისად, შესრულება.

რეკომენდაციები

მუნიციპალიტეტმა ფინანსური რესურსების ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფის მიზნით, ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ მაქსიმალურად გამოიყენოს მუნიციპალიტეტის საჭიროებისათვის და საკუთარ ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები მიმართოს სხვადასხვა პრიორიტეტული პროექტების განსახორციელებლად.

მუნიციპალიტეტმა პრეტენდენტების მიერ ტექნიკური დოკუმენტაციის დაუზუსტებლობის და/ან ხელშეკრულების გაფორმებისაგან თავის არიდების შემთხვევებში, ყურადღება გაამახვილოს აფიდავიტის შესაძლო დარღვევის ფაქტებზე. ამასთანავე, შეიმუშაოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები პრეტენდენტების არაკეთილსინდისიერი ქმედებების გამოსავლენად და გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

მუნიციპალიტეტმა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების პირობით განსაზღვროს საექსპერტო შეფასების ისეთი წესი, რომელიც შესყიდვის ობიექტის პარამეტრებისა და ხარისხის მაქსიმალურ დაცულობას განაპირობებს; ფარული სამუშაოებისთვის გამოიყენოს ზედამხედველობისა და დოკუმენტური დადასტურების იმდაგვარი პრინციპი, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს შესრულებულ სამუშაოსა და ანაზღაურებულ თანხებს შორის სხვაობის შესაძლებლობას.

მიზანშეწონილია, მუნიციპალიტეტის საკრებულომ შეიმუშაოს გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების განსაზღვრის წესი. საჭიროა, მუნიციპალიტეტმა დაასრულოს ფაქტობრივი ხარჯების გაანგარიშების პროცედურა და გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები.

შესავალი

აუდიტის საგანი და სახეობა

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01 00), „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ (პროგრამის კოდი 03 00) პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის მიზანი

ა) დასაბუთებული რწმუნების მოპოვება იმის შესახებ, ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა განზრახ ან უნებლიე შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას, რაც

აუდიტორს შესაძლებლობას მისცემს, გამოთქვას მოსაზრება აუდიტის ობიექტის ფინანსური ანგარიშგების სისწორეზე - შედგენილია თუ არა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად;

ბ) აუდიტის საგნის მომწესრიგებელ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (შემდგომში - კრიტერიუმი) შესაბამისობის შესახებ დასკვნების გაკეთება, რეკომენდაციების შემუშავება და აუდიტის ანგარიშის გაცემა.

აუდიტის ანგარიშში, მათი გამოვლენის შემთხვევაში, აისახება:

- 1) მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობა - ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის, საქმიანობის წარმართვის, საჯარო რესურსების გამოყენების და საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების დაუცველობა.
- 2) საქმიანობის არაეფექტიანობა - აუდიტის ობიექტის მიერ ეკონომიურობისა და პროდუქტიულობის პრინციპების დაუცველობა.
- 3) შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის ფუნქციის სისუსტეები ან/და ნაკლოვანებები.
- 4) ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასაწერგად.

აუდიტის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, ანგარიში ვერ უზრუნველყოფს აბსოლუტურ რწმუნებას აუდიტის საგნის კრიტერიუმ(ებ)თან სრული შესაბამისობის შესახებ. ამასთანავე, აუდიტი დაიგეგმა და ჩატარდა პროფესიული განსჯის საფუძველზე, ხარისხობრივი და რაოდენობრივი შერჩევის პრინციპებზე დაყრდნობით და შესაძლებელია არ მოიცვას აუდიტის საგნის ყველა ელემენტი.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ახალციხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების, 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის“ პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. ახალციხის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტმა მოიცვა ჯამში 15 526.0 ათასი ათასი ლარი.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამოების ან/და ნაკლოვანების სახით იქნა გამოვლენილი განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების, 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის“ პროგრამების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობითა და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობის ვალდებულება ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარმოადგენს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგება და ობიექტის მიერ 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის“ პროგრამების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამოების ფაქტებს. აუდიტორული პროცედურები ჩატარდა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

აუდიტის ობიექტის აღწერა

ახალციხის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავს აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება და ბიუჯეტი. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 15 ადმინისტრაციულ ერთეულს და მოიცავს 45 სოფელსა და ერთ ქალაქს.

მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. კანონმდებლობით მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და საბიუჯეტო პროგრამები. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით, 2015-2016 წლების შემოსულობებმა - 20 128.5 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა 18 316.7 ათასი ლარი შეადგინა.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები 2013 წლიდან პროგრამულად იგეგმება. პროგრამა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება გრძელვადიან პერიოდში. პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვა შედეგზეა ორიენტირებული, მის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს მისაღები საბოლოო და შუალედური შედეგები და არა მხოლოდ პროგრამების განმახორციელებლებზე გადანაწილებული რესურსები. პრიორიტეტების დოკუმენტით პარალელურად იგეგმება შედეგი და ის ინდიკატორები, რომელთა საშუალებითაც შედეგის გაზომვა გახდება შესაძლებელი.

„წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01 00), „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ (პროგრამის კოდი: 03 00) პროგრამების შესრულებაზე პასუხისმგებელია ახალციხის მუნიციპალიტეტი და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები.

შესრულების წლიური ანგარიშების მიხედვით, 2015-2016 წლებში აღნიშნული პროგრამების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა 15 526.0 ათასი ლარი შეადგინა. პროგრამის გადასახდელების მაჩვენებლები მოცემულია №1 ცხრილში.

**ცხრილი №1. მუნიციპალიტეტის მიერ 2015-2016 წლებში გაწეული ხარჯი პროგრამების მიხედვით
(ათასი ლარი)**

კოდი	დასახელება	2015 წელი	2016 წელი	სულ
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	1 765.9	2 196.7	3 962.6
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	4 515.1	7 048.3	11 563.4
	სულ	6 281.0	9 245.0	15 526.0

ფინანსურმა აუდიტმა, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მოიცვა ახალციხის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების საბალანსო ნაშთი - 18 899.5 ათასი ლარი. შესაბამისობის აუდიტმა მოიცვა 2015 წლის პროგრამული ხარჯი 6 281.0 ათასი ლარის, ხოლო 2016 წელს - 9 245.0 ათასი ლარის ოდენობით.

ნაშთის ცვლილება. 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ახალციხის მუნიციპალიტეტს ნაშთის სახით ერიცხებოდა 1 171.5 ათასი ლარი. აღნიშნული თანხიდან გამგეობამ 2015 წელს დაგეგმა 1 155.7 ათასი ლარის გამოყენება, თუმცა დაგროვდა 276.9 ათასი ლარის ნაშთი. შესაბამისად, წლის ბოლოს ნაშთად დარჩა 1 448.4 ათასი ლარის ფულადი სახსრები. მათ შორის, თავისუფალი ნაშთი იყო 1 156.2 ათასი ლარი.

2016 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტმა დაგეგმა 1 424.0 ათასი ლარის ნაშთის გამოყენება. თუმცა, 1 534.9 ათასი ლარის ნაშთის დაგროვების გამო, წლის ბოლოს ნაშთად დარჩა 2 983.3 ათასი ლარის ფულადი სახსრები. მათ შორის, თავისუფალი ნაშთია 1 292.0 ათასი ლარი.

2015 წელს მუნიციპალიტეტის გადასახდელების ფაქტობრივმა შესრულებამ 7 324.0 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო აუთვისებელი დარჩა 1 448.4 ათასი ლარის ფულადი სახსრები. 2016 წელს გადასახდელების ფაქტობრივი შესრულება 10 992.7 ათასი ლარია. მუნიციპალიტეტმა ვერ აითვისა 2 983.3 ათასი ლარი. 2016 წელს ნაშთის დაგროვება ძირითადად „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის შეუსრულებლობამ განაპირობა. კერძოდ, ნაცვლად დაგეგმილი 9 200.7 ათასი ლარისა, გაიხარჯა 6 723.7 ათასი ლარი (73%). შესაბამისად, არ დაგეგმილა და/ან არ შესრულდა 2 477.0 ლარის ღირებულების სამუშაოები.

რეკომენდაცია: ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, ფინანსური რესურსების ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფის მიზნით, ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ მაქსიმალურად გამოიყენოს მუნიციპალიტეტის საჭიროებისათვის და საკუთარ ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები მიმართოს სხვადასხვა პრიორიტეტული პროექტების განსახორციელებლად.

ძირითადი ტექსტი

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (პროგრამის კოდი: 01.00)¹

ზოგადი მიმოხილვა: „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამა მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის გამართულ ფუნქციონირებას. პროგრამიდან ფინანსდება საკრებულოსა და გამგეობის შენახვის ხარჯები, მათ შორის, თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატი და სხვ. პროგრამა ასევე მოიცავს არაფინანსური აქტივების ზრდას, გრანტებს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სხვადასხვა ხარჯებს. 2015-2016 წლებში აღნიშნული პროგრამის დაფინანსებისათვის გაიხარჯა 3 962.6 ათასი ლარი. პროგრამაზე გაწეული გადასახდელები მუხლობრივად ჩაშლილია №2 ცხრილში.

ცხრილი №2: 2015-2016 წლებში 01 00 პროგრამაზე გაწეული გადასახდელები (ათასი ლარი)

პროგრამის კოდი	დასახელება	2015 წელი	2016 წელი	სულ
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	1 765.9	2 196.7	3 962.6
	ხარჯები	1 503.7	1 821.7	3 325.4
	შრომის ანაზღაურება	965.4	1 219.5	2 184.9
	საქონელი და მომსახურება	471.6	559.8	1 031.4
	გრანტები	0	20.0	20.0
	სოციალური უზრუნველყოფა	21.2	16.7	37.9
	სხვა ხარჯები	45.5	5.7	51.2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	260.8	375.0	635.8
	ვალდებულებების კლება	1.4	0	1.4

1.1 შრომის ანაზღაურება

წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, ახალციხის მუნიციპალიტეტში საჯარო მოხელეთა რიცხოვნობა 2015 წელს შეადგენდა 99 საშტატო ერთეულს. მათზე გაიცა შრომის ანაზღაურება სულ 965.4 ათასი ლარის ოდენობით. აქედან, თანამდებობრივი სარგოა - 830.5 ათასი ლარი და პრემია - 134.9 ათასი ლარი. საშტატო ნუსხის შესაბამისად, 2016 წელს შრომის ანაზღაურება - 1 219.5 ათასი ლარი მიიღო 107-მა საჯარო მოხელემ.

¹ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობა, გარდა 01.00 პროგრამისა, მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში დაფინანსებულია აგრეთვე 02.00 პროგრამით. კერძოდ, 2015-2016 წლებში პროგრამის გადასახდელებმა სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურისათვის 84.2 ათასი ლარი შეადგინა.

მათ შორის, თანამდებობრივი სარგოა 946.0 ათასი ლარი, პრემია - 226.5 ათასი ლარი, ხოლო დანამატი - 47.0 ათასი ლარი.

სახელფასო დანამატი

კრიტერიუმი: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი² ითვალისწინებს დანამატის გაცემის შესაძლებლობას. საჯარო მოხელეს სახელფასო დანამატი ეძლევა: საკლასო ჩინის შესაბამისად, ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, დამატებითი ფუნქციების დაკისრებისას, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან გათავისუფლების გარეშე³.

გამოვლენილი გარემოება: 2016 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებზე გამგებლის ბრძანებების შესაბამისად, გაცემულია დანამატი 47.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის, 44.4 ათასი ლარის შემთხვევაში, დანამატები გაიცა დოკუმენტური დასაბუთების გარეშე. კერძოდ, სამართლებრივი აქტები⁴ არ შეიცავს ინფორმაციას ზეგანაკვეთური მუშაობის, საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის ან სხვა გარემოების შესახებ.

2016 წლის აგვისტოში მუნიციპალიტეტის თერთმეტმა საჯარო მოხელემ ერთდროულად მიიღო დანამატი და პრემია 9.9 ათასი ლარი. 2016 წლის დეკემბერში ოცდაერთმა მოხელემ მიიღო ნოემბრის დანამატი და დეკემბრის პრემია, 23.8 ათასი ლარის ოდენობით.

1.2 საქონელი და მომსახურება

2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამის ფარგლებში, „საქონლისა და მომსახურების“ მუხლით, ახალციხის მუნიციპალიტეტმა გასწია 1 031.4 ათასი ლარის ხარჯი. მათ შორის, დაფინანსებულია შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება, კავშირგაბმულობისა და კომუნალური ხარჯები, წარმომადგენლობითი ხარჯები, საწვავის ხარჯი, შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯი, საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრების ხარჯები და სხვ.

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად⁵, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში, არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.

² 2017 წლის 1 ივლისამდე მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

³ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლები 37, 57, 71.

⁴ 2016 წლის №99, 168, 412, 520, 651, 878, 964, 1134, 1231 ბრძანებები.

⁵ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლი 8 (2017 წლის 1 ივლისამდე მოქმედი რეგულაციების შესაბამისად).

ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შტატგარეშე მოსამსახურეს შორის ურთიერთობები და უფლება-მოვალეობები რეგულირდება მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, შრომითი ურთიერთობის შესახებ.

გამოვლენილი გარემოება: 2015-2016 წლებში ახალციხის მუნიციპალიტეტმა შრომითი ხელშეკრულებები გააფორმა და მოსამსახურეები დაიქირავა შემდეგი მოვალეობების შესასრულებლად:

- ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი;
- კონსულტანტი ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში;
- მოსამსახურე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით;
- მოსამსახურე საკონსულტაციო მომსახურების გაწევისათვის;
- არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსის თანაშემწე.

გარდა მომსახურების დასახელებისა, ეს ხელშეკრულებები არ შეიცავს დროში განსაზღვრულ რაიმე კონკრეტულ დავალებას, შესასრულებელი სამუშაოს ან გასაწევი მომსახურების სპეციფიკას და აქედან გამომდინარე, შრომით ურთიერთობებს ფაქტობრივად მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად აწესრიგებს. აღნიშნული წინააღმდეგობაშია შტატგარეშე მოსამსახურის დაქირავების პრინციპთან. 2015-2016 წლებში მითითებულ შტატგარეშე მოსამსახურეებზე გაიცა სულ - 49.1 ათასი ლარის ანაზღაურება. 2015-2016 წლებში ახალციხის მუნიციპალიტეტმა სახელშეკრულებო ანაზღაურების გარდა, პრემიების სახით გასცა 33.7 ათასი ლარი. პრემიები გაიცა სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით. შრომითი ხელშეკრულებები არ შეიცავს დაქირავებულის უფლებას ან/და დამქირავებლის ვალდებულებას საპრემიო ანაზღაურების შესახებ. ამდენად, ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ 33.7 ათასი ლარი გაიცა საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

2015 წლისა და 2016 წლის დეკემბერში, მუნიციპალიტეტმა შრომითი ხელშეკრულებები გააფორმა 3 დაქირავებულთან. კერძოდ, ხელშეკრულებები გაფორმდა 9-18 დეკემბრის შუალედში და დეკემბრის ბოლოს კუთვნილი ანაზღაურების გარდა მათზე გაიცა პრემიები, 1 თვის სახელშეკრულებო თანხის ოდენობით. მაგალითად:

- ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსის თანაშემწესთან ხელშეკრულება გაფორმდა 2015 წლის 18 დეკემბერს. დაქირავებულზე დეკემბერში გაიცა შრომის ანაზღაურება 348 ლარი და პრემია 800 ლარი.

- შტატგარეშე მოსამსახურესთან ეკონომიკური განვითარების საკითხებში, შრომითი ხელშეკრულება გაფორმდა 2016 წლის 22 დეკემბერს. მოსამსახურეს მიღებული აქვს დეკემბრის თვის შრომის ანაზღაურება 255 ლარის ოდენობით და პრემია - 800 ლარი.

- 2016 წლის 9 დეკემბერს დაქირავებულმა მძღოლმა მიიღო 618 ლარი შრომის ანაზღაურების, ხოლო 850 ლარი - პრემიის სახით.

საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურება

კრიტერიუმი: ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად⁶, საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორცაა, საკრებულოსა და კომისიის სხდომების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღების, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეული დავალებების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები.

გამგეობამ ხარჯი უნდა აანაზღაუროს საკრებულოს წევრის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად⁷, ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, სადაც აღინიშნება დოკუმენტის დასახელება, შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები.

გამოვლენილი გარემოება: ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრების ხარჯები, 2015 წლის იანვრიდან აგვისტოს ჩათვლით, გაიცემოდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №58 დადგენილების საფუძველზე⁸. დადგენილების შესაბამისად, უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯების ანაზღაურების ზღვრულ ოდენობად განისაზღვრა 375 ლარი. ამასთანავე, საკრებულოს წევრის მიერ მისაღები კონკრეტული თანხის მოცულობა დადგინდა საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მიხედვით.

2015 წლის აგვისტოდან საკრებულოს წევრების ხარჯები ანაზღაურდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 აგვისტოს №29 დადგენილების საფუძველზე⁹. ხარჯების ანაზღაურების ზღვრულ ოდენობად დაწესდა 375 ლარი.

⁶ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 41.

⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-5 მუხლი.

⁸ „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი, უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“.

⁹ „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი, უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“.

სამართლებრივ აქტში აღნიშნულია, რომ საკრებულოს წევრების მიერ გაწეული ხარჯის (ავტობუსით მგზავრობა, სამარშუტო ტაქსით მგზავრობა და სხვ.) ანაზღაურება მოხდეს დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე, რადგან მათ არ აქვთ დოკუმენტალურად დადასტურების შესაძლებლობა.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებს 2015-2016 წლებში, ხარჯების ანაზღაურების სახით, მიღებული აქვთ სულ 153.0 ათასი ლარი (მათ შორის, 2015 წლის ივლისის ჩათვლით დარიცხულია საშემოსავლო გადასახადი 8.9 ათასი ლარი). საკრებულოს არათანამდებობის პირებს, თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, ეძლევათ არა ფიქსირებული გასამრჯელო, არამედ აუნაზღაურდებათ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, რაც საჭიროებს დადასტურებას პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების სახით. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრების ხარჯების დასადასტურებლად. შესაბამისად, 153.0 ათასი ლარი გაიცა საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ. ამასთანავე, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის სამართლებრივი აქტით დაწესებულია განსხვავებული რეგულაცია ხარჯების დოკუმენტალური დადასტურების შესახებ, რაც არ შეესაბამება მოქმედ საკანონმდებლო ნორმას¹⁰.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამის კოდი: 03.00)

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების ბიუჯეტის შესაბამისად, ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობად განსაზღვრულია მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, რაც ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. კერძოდ, პროგრამის შესაბამისად დაიგეგმა საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, დასასვენებელი პარკების, სკვერებისა და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, დაზიანებული სასმელი წყლის და სარწყავი წყლის სისტემების მშენებლობა, დასუფავების ღონისძიებები, ნაგვის კონტეინერების შესყიდვა, ბაგა-ბაღებისა და ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია და სხვ. გარდა ამისა, პრიორიტეტის ფარგლებში პროგრამა ითვალისწინებს არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას.

პროგრამის განხორციელებიდან მოსალოდნელი საბოლოო შედეგები და შეფასების ინდიკატორები ქვეპროგრამების მიხედვით, აღწერილია მუნიციპალიტეტის

¹⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-5 მუხლი.

პრიორიტეტების დოკუმენტის შესაბამისად. პროგრამის ბიუჯეტი წლების მიხედვით ნაჩვენებია №3 ცხრილში.

ცხრილი №3. ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის პროგრამის სტრუქტურა (ათასი ლარი)

პროგრამის კოდი	დასახელება	2015 წელი	2016 წელი	სულ
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	4 515.1	7 048.3	11 563.4
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	1 971.0	4 505.7	6 476.7
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1 312.6	1 180.4	2 493.0
03 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	165.3	533.4	698.7
03 04	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	1 066.2	828.8	1 895.0

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა

2015-2016 წლების ბიუჯეტით, ახალციხის მუნიციპალიტეტმა საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება ინფრასტრუქტურული პროგრამების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად განსაზღვრა. კერძოდ, ქვეპროგრამის ფარგლებში შესრულდა დიდი და პატარა პამაჯის, წყალთბილას, ღრელის, სვირის, ბოგის, ზიკილიის, ძირის, ანისა და სხვა სოფლების გზების რეაბილიტაციის სამუშაოები. პრიორიტეტების დოკუმენტით დადგინდა:

ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

-)/ მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;
-)/ მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

-)/ საგზაო შემთხვევების შემცირებული რაოდენობა;
-)/ რეაბილიტირებული გზების რაოდენობის გაზრდა.

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად¹¹, ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტს წინადადების წარდგენა შეუძლია მხოლოდ სისტემის მეშვეობით, აფიდავიტის პირობებზე დათანხმების შემდეგ. აფიდავიტის¹² შესაბამისად, კონკურენტებს ეკრძალებათ კომუნიკაცია, შეთანხმება, ან მოლაპარაკება

¹¹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 10, პ. 3.

¹² აფიდავიტის ფორმა დამტკიცებულია იმავე ბრძანებით.

სატენდერო წინადადების ფასისა და წინადადების წარდგენის, ან წარდგენისაგან თავის შეკავების შესახებ.

გამოვლენილი გარემოება 1: 2015-2016 წლებში ახალციხის მუნიციპალიტეტში ჩატარებული ტენდერების მიმდინარეობის შესწავლით გამოიკვეთა ისეთი შესყიდვები, როცა ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტებმა არ დააზუსტეს ტექნიკური დოკუმენტაცია, რაც მათი დისკვალიფიკაციის საფუძველი გახდა. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, გამარჯვებულად გამოცხადდნენ უფრო მაღალი ფასის წარმომდგენი სუბიექტები, რამაც ხელშეკრულებების ღირებულების გაზრდა გამოიწვია¹³.

აუდიტის ჯგუფმა ჩაატარა დამატებითი აუდიტორული პროცედურები. შედეგად გამოვლინდნენ პრეტენდენტები, რომლებიც მეტი ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, დიდი ალბათობით მოქმედებდნენ ურთიერთშეთანხმებით და არღვევდნენ აფიდავიტის პირობებს. მაგალითად:

ახალციხის მუნიციპალიტეტმა 2014 წელს გამოაცხადა ტენდერი¹⁴ სოფელ ღრელის ცენტრალური გზის რეაბილიტაციების სამუშაოებზე, ღირებულებით - 585.0 ათასი ლარი. ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ, მომდევნო დაბალი ფასი წარმომადგენილი ჰქონდა შპს „ოცხეს“ - 400.0 ათასი ლარი. მიუხედავად ამისა, შერჩევა-შეფასების პროცესში, საწარმომ არ დააზუსტა ტექნიკური დოკუმენტაცია¹⁵ და კომისიამ მიანიჭა დისკვალიფიკაცია. ტენდერში გაიმარჯვა მომდევნო პრეტენდენტმა - შპს „მესხეთავტოგზამ“, რითაც სამუშაოს ღირებულება 400.0 ათასი ლარიდან 476.5 ათას ლარამდე, ანუ 76.5 ათასი ლარით გაძვირდა. საჯარო ინფორმაციის - მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის¹⁶ მონაცემების შესწავლით დადგინდა შემდეგი: შპს „ოცხეს“ 3 მესაკუთრე და წილის მფლობელი წილებს ასევე ფლობს შპს „მესხეთავტოგზამი“¹⁷. ამასთანავე, შპს „ოცხეს“ 3 მესაკუთრედან, ერთი შპს „ოცხეს“, ხოლო მეორე - შპს „მესხეთავტოგზის“ დირექტორია.

2016 წელს, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ საძელის ტერიტორიაზე გამავალი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში¹⁸ მონაწილეობდა 5 პრეტენდენტი. სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 300.0 ათას ლარს. სატენდერო დოკუმენტაციის შერჩევა-

¹³ ტენდერის შერჩევა-შეფასების პროცესი ძირითადად ჩატარებულია 2014 წელს ლიკვიდირებული ახალციხის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის მიერ.

¹⁴ SPA140013734. მოქმედი ხელშეკრულების შესაბამისად, საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდა 2015 წელს.

¹⁵ ფასების ცხრილი, ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ინფორმაცია ერთობლივი შემოსავლის შესახებ და სხვ.

¹⁶ <https://enreg.reestri.gov.ge>.

¹⁷ ტენდერის გამოცხადებიდან ხელშეკრულების გაფორმებამდე, ო. ჩილინგარაშვილი 33,34%-იან წილს ფლობდა შპს „ოცხეში“, ხოლო 12%-ს - შპს „მესხეთავტოგზამი“; თ. პეტაშვილი: 33,33%-ს - შპს „ოცხეში“, 12% -ს - შპს „მესხეთავტოგზამი“; ი. მელიქიძე: 33,33% - შპს „ოცხეში“, 12% - შპს „მესხეთავტოგზამი“.

¹⁸ SPA160005313.

შეფასების პროცესში შპს „ოცხემ“ და შპს „არალიმ“ ტექნიკური დოკუმენტაცია¹⁹ არ დააზუსტეს. შედეგად, შემოთავაზებული ფასი 252.1 ათასი ლარიდან (შპს „ოცხე“) გაიზარდა 300.0 ათას ლარამდე და გაიმარჯვა ყველაზე მაღალი ფასის წარმომდგენმა პრეტენდენტმა - შპს „მესხეთავტოგზამ“. სატენდერო სამუშაოების ღირებულება გაძვირდა 47.9 ათასი ლარით. გარდა იმისა, რომ შპს „მესხეთავტოგზას“ და შპს „ოცხეს“ ერთი და იგივე 3 თანამესაკუთრე ჰყავს, საწარმოები შპს „არალისთანაც“ არიან სხვადასხვა ფორმით დაკავშირებული. კერძოდ, სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული პორტალის საჯარო მონაცემების შესწავლით გამოვლინდა: საწარმოები ერთმანეთთან აქირავებდნენ ტექნიკას, იყვნიენ ქვეკონტრაქტორები და ერთობლივად ასრულებდნენ სამუშაოებს²⁰, მათ შორის, ახალციხის მუნიციპალიტეტში.

გამოვლენილი გარემოება 2: ახალციხის მუნიციპალიტეტმა 2014 წლის 22 იანვარს გამარტივებული ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა პამაჯი-წყალთბილის ცენტრალური გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისათვის²¹. შესყიდვაში მონაწილეობა მიიღო ოთხმა პრეტენდენტმა. მათ შორის, შპს „ინდუსტრია 2013“ და შპს „მშენსერვისი 2012“ დაკავშირებული ფირმებია, რაც იკვეთება ელექტრონული ვაჭრობის შედეგებითა და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემებით. კერძოდ: შპს „მშენსერვისი 2012“-მა სატენდერო კომისიას შესთავაზა 4.0 ათასი ლარი. შერჩევა-შეფასების პროცესში პრეტენდენტმა არ დააზუსტა სატენდერო დოკუმენტაცია²² და კომისიამ დისკვალიფიკაცია მიანიჭა²³. 2014 წლის 24 იანვრის²⁴ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს „ინდუსტრია 2013“-ის დირექტორი საწარმოს 100%-იან წილს ფლობს. აქედან, წილის 50% დირექტორს საჩუქრად გადასცა პიროვნებამ, რომელიც ამავე პერიოდისათვის იყო შპს „მშენსერვისი 2012“-ის დირექტორი და 100%-იანი წილის მფლობელი.

მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „ინდუსტრია 2013“-სთან, ღირებულებით 27.0 ათასი ლარი. შესაბამისად, სახელშეკრულებო ღირებულება 23.0 ათასი ლარით გაიზარდა.

რეკომენდაცია: ახალციხის მუნიციპალიტეტმა, პრეტენდენტების მიერ ტექნიკური დოკუმენტაციის დაუზუსტებლობის და/ან ხელშეკრულების გაფორმებისაგან თავის არიდების შემთხვევებში, ყურადღება გაამახვილოს აფიდავიტის შესაძლო დარღვევის

¹⁹ შპს „ოცხემ“ არ დააზუსტა დოკუმენტაცია; შპს „არალიმ“ არ წარმოადგინა სამუშაოს განფასება და საკვალიფიკაციო მონაცემები. დანარჩენ 2 პრეტენდენტს დისკვალიფიკაცია მიენიჭა წარმოდგენილი დოკუმენტაციის ხარვეზის გამო.

²⁰ SPA140013734, SPA150023133, SPA150001762, SPA150019898, SPA160005286, SPA160005313, SPA170005701.

²¹ SPA140001940. ანგარიშსწორება დასრულდა 2015 წელს.

²² არ წარმოადგინა განფასება, რეკვიზიტები და სპეციალისტთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

²³ ტენდერის შერჩევა-შეფასების პროცესი ძირითადად ჩატარებულია 2014 წელს ლიკვიდირებული ახალციხის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის მიერ.

²⁴ 2014 წლის 24 იანვარს დაიწყო სატენდერო წინადადების მიღება.

ფაქტებზე. ამასთანავე, შეიმუშაოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები პრეტენდენტების არაკეთილსინდისიერი ქმედებების გამოსავლენად და გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

2.2 დოკუმენტურად დაუდასტურებელი სამუშაოები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტი ვალდებულია შეიმუშაოს და დანერგოს სათანადო კონტროლის მექანიზმები, რომელიც სახელმწიფო შესყიდვის პროცესს წარმართავს სატენდერო დოკუმენტაციისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას. შესყიდული ობიექტი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

გამოვლენილი გარემოება: აუდიტის ჯგუფმა არსებითად მიიჩნია კონტროლის მექანიზმების შეფასება, რომელსაც ახალციხის მუნიციპალიტეტი იყენებდა შესრულებული სამუშაოების მოცულობების დასადასტურებლად. ამ მიზნით აუდიტის ჯგუფმა ჩაატარა დამატებითი აუდიტორული პროცედურები. კერძოდ, მტკიცებულებების მოსაპოვებლად შეისწავლა მოთხოვნილი და მუნიციპალიტეტისათვის მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებები, შერჩეული სამუშაოების მიხედვით. შერჩევის კრიტერიუმად ჯგუფმა გამოიყენა ფარული სამუშაოების მოცულობა, რომელიც შედარებით მეტია გზის რეაბილიტაციის, წყლის სისტემებისა და სანიაღვრე არხების მოწყობის შემთხვევაში. გარდა ამისა, საექსპერტო შეფასებებისას, ექსპერტი, როგორც წესი, ვერ ამოწმებს ფარული სამუშაოების მოცულობას და ეყრდნობა ფარული სამუშაოების აქტებს.

ახალციხის მუნიციპალიტეტმა აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე, წარმოადგინა 5 სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში წარმოებული სასაქონლო ზედნადებები²⁵. შესრულებული სამუშაოების აქტების (ფორმა №2) მაჩვენებლებთან სასაქონლო ზედნადებების მონაცემების შედარებით, გამოვლინდა შემდეგი შეუსაბამობები:

1) 2016 წლის 12 დეკემბერს მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „ვალეს კომუნალურ გაერთიანებასთან“, ხრეშოვანი საფარის მქონე გზების მოვლა-შენახვაზე, ღირებულებით - 61.5 ათასი ლარი. სამუშაოები ითვალისწინებდა გვერდულებსა და სავალ ნაწილზე ქვიშა-ხრეშოვანი ნარევისა და ფრაქციული ღორღის დამატებას, საგზაო ნიშნებისა და ხელოვნური ნაგებობების მოწყობას, ასევე თოვლის წმენდასა და გზებზე ტექნიკური მარილის მოყრას.

²⁵ 2015 წელი - ხელშეკრულებები №№107, 122; 2016 წელი - ხელშეკრულებები №№91, 142, 452.

შესრულებული სამუშაოების აქტების მიხედვით, შპს-ამ დეკემბერში მუნიციპალიტეტის სოფლების გზებზე შეიტანა 1638 კუბ.მ ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი, 315.9 კუბ.მ ფრაქციული ღორღი, ნაყარში გაიტანა 532.5 ტ ნარჩენები, გადასასვლელების სახით მოაწყო 410 გრძ.მ არსებული ლითონის მილი. სასაქონლო ზედნადებების შესწავლით გამოვლინდა, რომ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საწარმოს ინერტული მასალა დანიშნულების ადგილზე არ გადაუზიდავს და ნარჩენები ნაყარში არ გაუტანია; ასევე სასაქონლო ზედნადებებით არ დასტურდება დეკემბერში არსებული ლითონის მილების გადაზიდვა²⁶. აღნიშნული სამუშაოების ღირებულება 40 ათას ლარზე მეტს შეადგენს.

2015 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა სოფელ წყრუთი-ანის საავტომობილო გზის (I ეტაპი) სარეაბილიტაციო სამუშაოები²⁷. მიმწოდებელს, შპს „ასტორიას“ აუნაზღაურდა შესრულებული სამუშაოების ღირებულება, სულ 554.2 ათასი ლარის ოდენობით. შესრულებული სამუშაოების აქტებისა და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შედგენილი სასაქონლო ზედნადებების შედარებით გამოვლინდა, რომ საწარმომ ფაქტობრივად გამოიყენა 380 კუბ.მ-ით ნაკლები ქვიშა-ხრეში და 88 კუბ.მ-ით ნაკლები ფრაქციული ღორღი. შესრულებული სამუშაოების აქტების შესაბამისად, აღნიშნული მასალების შესყიდვასა და ტრანსპორტირებაში მუნიციპალიტეტმა 8 ათას ლარზე მეტი გადაიხადა.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ ანაზღაურებული შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულებამ სულ 48 ათას ლარზე მეტი შეადგინა.

რეკომენდაცია: ახალციხის მუნიციპალიტეტმა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების პირობით განსაზღვროს საექსპერტო შეფასების ისეთი წესი, რომელიც შესყიდვის ობიექტის პარამეტრებისა და ხარისხის მაქსიმალურ დაცულობას განაპირობებს; ფარული სამუშაოებისთვის გამოიყენოს ზედამხედველობისა და დოკუმენტური დადასტურების იმდაგვარი პრინციპი, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს შესრულებულ სამუშაოსა და ანაზღაურებულ თანხებს შორის სხვაობის შესაძლებლობას.

2.3 გამარტივებული წესით შესყიდული სამშენებლო სამუშაოები

კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის, ასევე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის სამართლებრივი აქტების შესაბამისად²⁸, 2012 წლის 1 ივლისის შემდეგ, გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება მიმწოდებელს უნდა აუნაზღაურდეს შემდეგი წესით: შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულების

²⁶ პასუხისმგებელი პირის ზეპირი განმარტებით, გამოიყენებოდა არსებული მეორადი ლითონის მილები, რომლის ტრანსპორტირებაზეც სასაქონლო ზედნადები არ შეუდგენიათ.

